დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს

<u>გადაწყვეტილება</u> ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატის დამტკიცების შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო,

ითვალისწინებს რა საქართველოს რესპუბლიკის თხოვნას, ეყრდნობა რა გადაწყვეტილებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე და განსაკუთრებით აღნიშნავს ლტოლვილთა სასწრაფო უსაფრთხო დაბრუნებისა და აფხაზეთის სტატუსის გადაწყვეტისათვის პირობების შექმნის ამოცანას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვით,

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს მანდატი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად (თან ერთვის), გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული სახელმწიფო დამოუკიდებლად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სამშვიდობო ოპერაციაში თავისი მონაწილეობის ფორმასა და ხარისხს .

2. დაევალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს განსაზღვროს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო უზრუნველყოფის წესი.

3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

შესრულებულია ქალაქ მოსკოვში **1994 წლის 21 ოქტომბერს**, ერთ ეგზემპლიარად, რუსულ ენაზე.

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერეს რესპუბლიკა მოლდოვამ, თურქმენეთმა და უკრაინამ.

(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 43-44. საკუთარი თარგმანი)